სამუშაო შეხვედრა მელიორაციის საკითხებთან დაკავშირებით

4 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ
და შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, ვალერიან მჭედლიძემ, რეგიონში სამელიორაციო სიტემებზე არსებული მდგომარეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეფასდა მუნიციპალიტეტების მიხედვით განხორციელებული და მიმდინარე სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები;
საუბარი შეეხო დაგეგმილ პროექტებს, რომლის განხორციელებასაც საქართველოს მელიორაცია უახლოეს მომავალში გეგმავს.

დღეისათვის, შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 12 მლნ ლარის ღირებულების 7 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს.

შედეგად, დამატებით, 4000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 3 240 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

შეხვედრა შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა, რომელსაც „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლები და შიდა ქართლის რეგიონში შემავალი ოთხივე მუნიციპალიტეტის მერები ესწრებოდნენ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე არხები წესრიგდება

6 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგების სამუშაოების ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნინოშვილში, დედაბერა-ნიგვზიანის დამშრობი მასივის საექსპლუატაციო ღონისძიებებს ახორციელებს.

ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 4 კილომეტრი სიგრძის სადრენაჟე არხები იწმინდება. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

დამშრობ მასივზე მიმდინარე სამუშაოები აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

26 აპრილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მარჯვენა მაგისტრალური არხის მეორე რიგის წყალგამანაწილებლების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც, ჯამში, 128 კმ სიგრძის დახურული მილსადენის მოწყობასა და სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობის მონტაჟს ითვალისწინებს.

26 მლნ ლარის ღირებულების პროექტი მსოფლიო ბანკის (WB) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქალაქ საგარეჯოს, სოფლების - ნინოწმინდა, გიორგიწმინდა და წყაროსთავი 5000 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორ თენგიზ ნასარიძესთან და მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის მენეჯერ ლალი დურმიშიძესთან ერთად, სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო და სამშენებლო პროცესს გაეცნო.

კახეთში დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები

27 აპრილი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმართულებით ადგილზე გამოვლენილი საჭიროებების საკითხები დეტალურად განიხილეს.

მიმდინარე წელს, კახეთის რეგიონში 35 მლნ ლარზე მეტი ღირებულების სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები დაიწყება, შედეგად, დამატებით 6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 10 ათას ჰექტარზე გაუმჯობესდება.

2022 წელს ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტებში ზემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე დაგეგმილია: მაგისტრალური არხის მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ღვარსაშვის მოწყობა, სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელზე დახურული მილსადენის აღდგენა, მაგისტრალური არხის გვირაბის ავარიული მონაკვეთის აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლების საკობიანო, ბაყილოვანი და მატანის გზაგამტარების რეაბილიტაცია.

გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, ქვემო ალაზნის სარწყავ სისტემაზე შემდეგი სამუშაოები ჩატარდება: მაგისტრალურ არხზე არსებული სამთაწყაროს წყალსაგდების, ვეჯინის სწრაფმდენის, მასზე არსებული სარეგულაციო კვანძის და კალაურის ავარიული წყალსაგდების რეაბილიტაცია; მაგისტრალური არხის გამანაწილებლების რეაბილიტაცია.

ქალაქ ლაგოდეხში გამავალი სარწყავი არხის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი რკინაბეტონით მოპირკეთდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სისტემის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციაა, ჩატარდება სამთაწყაროს სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის და ფიროსმანის სატუმბი სადგურის მოდერნიზაციის სამუშაოები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ძველი ანაგის მექანიკური მორწყვის სისტემაზე დამატებითი სარწყავი ქსელის მოწყობის სამუშაოები განხორციელდება.

სადრენაჟე სისტემის აღდგენითი სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტში

6 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოსირის ტერიტორიაზე, ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 10 კილომეტრი სიგრძის სხვადასხვა კატეგორიის კოლექტორული და შემკრები არხის გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზრდება. შედეგად, 120 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება.

დამშრობ მასივზე სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე არხები წესრიგდება

17 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 9კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება და მუნიციპალიტეტში, 30 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

სარწყავი ქსელის გაწმენდითი სამუშაოები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

19 მაისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგებას ქვეყნის მასშტაბით აქტიურად განაგრძობს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის 12 კილომეტრიანი მონაკვეთი ეკალ-ბარდებისა და დანალექი გრუნტისაგან იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს. შედეგად, მუნიციპალიტეტში 700 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით 8 სოფლის (ტბისი, ფარცხისი, ბოგვი, ჯორჯიაშვილი, ასურეთი, ერტისი, ვაშლოვანი, კოდა) მოსახლეობა ისარგებლებს. სამუშაოები მაისის ბოლოს დასრულდება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე სისტემა წესრიგდება

22 მაისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სუფსის დამშრობ მასივს აწესრიგებს.

სოფელ ჩოჩხათის ტერიტორიაზე ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 6 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ არხის საპროექტო პარამეტრები აღდგება და არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება.

შედეგად, 30 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება.

დამშრობ მასივზე მიმდინარე სამუშაოები თვის ბოლოს დასრულდება.

ოთარ შამუგია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა

4 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი თენგიზ ნასარიძე, თელავის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 3 მლნ ლარზე მეტია, 12,4 კილომეტრი სიგრძის წყალგამანაწილებლისა და მისი განშტოებების აღდგენას ითვალისწინებს. შედეგად, არხში წყლის გადინება შეუფერხებლად მოხდება, რაც დამატებით 300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს.

სამუშაოების ფარგლებში, გამანაწილებელი არხი და მისი განშტოებები ხე-ბუჩქნარისაგან გაიწმინდება, არსებული მილები ახლით შეიცვლება, მოეწყობა ჰიდრანტები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები. საირიგაციო არხით სოფელ რუისპირის მოსახლეობა ისარგებლებს.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, 2012 წლიდან დღემდე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 90 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. სამუშაოების ჯამური ღირებულება 53,6 მლნ ლარია. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, რეგიონში, დამატებით, 16 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად ირწყვება, წყლის მიწოდება 13 300 ჰექტარზე გაუმჯობესდა, ხოლო დრენირებულია 8 000 ჰექტარზე მეტი სავარგული.

ქობულეთში სადრენაჟე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

8 ივნისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქობულეთში დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს.

ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 6 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 20 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურების აღდგენას უზრუნველყოფს.

აღდგენილი სადრენაჟე არხები სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

ტბისი-კუმისის სარწყავ სისტემას აღდგენითი სამუშაოები უტარდება

9 ივნისი

საქართველოს მელიორაცია, ქვემო ქართლში, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის დაზიანებული მილსადენის აღდგენით სამუშაოებს ატარებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ფარცხისში, უხვი ნალექის გამო განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგად, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის წყალგამტარის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსწყდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორთან, თენგიზ ნასარიძესთან ერთად სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.

აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში, მოეწყო საექსპლუატაციო გზა, განხორციელდა ავარიული მილსადენის დემონტაჟი, ქვაბულში გაკეთდა სადრენაჟო არხი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ქვაბულის გრუნტით შევსებისა და არსებული მილსადენის კოროზიის საწინააღმდეგოდ დამუშავების სამუშაოები.

აღდგენითი სამუშაოები გეოლოგების რეკომენდაციის გათვალისწინებით ხორციელდება.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები ქვემო ქართლში

18 ივნისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია მარნეულში იმყოფებოდა. მინისტრი, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი დოხტურიშვილთან ერთად, სამელიორაციო ობიექტებზე განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შედეგებს ადგილზე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

შპს „საქართველოს მელიორაციის" მიერ ჩატარებული მასშტაბური აღდგენითი სამუშაოების შედეგად, სოფელ შაუმიანში, 30 წლიანი პაუზის შემდეგ, სარწყავი სისტემა ამოქმედდა. შაუმიანისა და ხიხანის მოსახლეობა, სამი ათეული წლის შემდეგ, სარწყავი წყლით წელს პირველად ისარგებლებს.

„სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა და რეაბილიტაცია არის უმნიშვნელოვანესი. ჩვენ ამ მიმართულებით მასშტაბურ პროექტებს ვახორციელებთ, რითაც საშუალებას ვაძლევთ ფერმერებს, აწარმოონ ხარისხიანი, მაღალი ღირებულების პროდუქცია. მარნეულის მუნიციპალიტეტში სრულად აღვადგინეთ სარწყავი ინფრასტრუქტურა, რისთვისაც რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. 30 წლის შემდეგ, წელს პირველად, გავუშვით წყალი.ათას ჰექტარ ფართობზე მეტი წყლით უზრუნველყოფილი იქნება", - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სოფელ ფარცხისში, უხვი ნალექის გამო განვითარებული მეწყრული პროცესების შედეგად, ტბისი-კუმისის სარწყავ სისტემაზე დაზიანებული მილსადენის აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და წყლის მიწოდება უახლოეს პერიოდში აღდგება.

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დავათვალიერეთ მიმდინარე სამუშაოები. მეწყრული პროცესების გამო, მილსადენი მწყობრიდანაა გამოსული. მელიორაციის კომპანია მასშტაბურ სამუშაოებს ატარებს საკუთარი ძალებით. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ძალიან მალე აღვადგინოთ სისტემა - მობილიზებულია ტექნიკა და სამუშაო ძალაც. ყველა პირობაა შექმნილი, რომ ძალიან მალე მივაწოდოთ მოსახლეობას სარწყავი წყალი", - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

„საქართველოს მელიორაცია", გეოლოგების რეკომენდაციის გათვალისწინებით, აღდგენით სამუშაოებს ინტენსიურად ახორციელებს. აღნიშნული სარწყავი სისტემით ქვემო ქართლის რეგიონის 17 სოფლის, დაახლოებით, 3500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის წყალუზრუნველყოფა ხორციელდება.